# ტექნიკური მონაცემთა ფურცელი (TDS)
## ალქიდური შავი ემალი

## 1. პროდუქტის აღწერა

ერთკომპონენტიანი, გამხსნელზე დაფუძნებული ალქიდური შავი ემალი ლითონისა და ხის ზედაპირების დეკორატიული და დამცავი შეღებვისთვის. შემკვრელია გრძელზეთიანი ალქიდური ფისი (70% მყარი ნივთიერება); პიგმენტური სისტემა აერთიანებს ნახშირბადის შავს და რკინის ოქსიდის შავს, ავსებელია კალციუმ კარბონატი. სისტემას ავსებს ორგანოთიხის რეოლოგიური დანამატი და სრიალისა და გასწორების დანამატი. გაშრობა ხდება ჟანგბადით გამყარებით (Co/Ca/Zr საშრობი სისტემა).

### უპირატესობები

- ერთკომპონენტიანია, მზადაა გამოსაყენებლად ან მცირე გაზავებით.
- ღრმა შავი ფერი (ორი შავი პიგმენტის კომბინაცია).
- გრძელზეთიანი ალქიდი უზრუნველყოფს კარგ დენადობას, ფუნჯით წასმის სიმარტივეს და ელასტიკურ ფენას.
- გასწორების დანამატი ხელს უწყობს ზედაპირის გასწორებას და ფუნჯის კვალის შემცირებას.
- ორგანოთიხის დანამატი ამცირებს პიგმენტის დალექვას და ჩამონადენს.
- ტყვიისგან თავისუფალი საშრობი სისტემა.
- ანტისკინინგის დანამატი ამცირებს ჭურჭელში აპკის წარმოქმნას შენახვისას.

## 2. ტექნიკური მახასიათებლები

| | |
|---|---|
| **შემკვრელის ტიპი** | გრძელზეთიანი ალქიდური ფისი |
| **გამხსნელი** | ნავთი / ნახშირწყალბადული გამხსნელი/white spirit |
| **ფერი** | შავი |
| **მაქსიმალური ტემპერატურა** | **60° ცელსიუსი** |
| **სიმკვრივე** | 1,05 გ/სმ³ |
| **არააქროლადი ნივთიერებები** | 45.% |
| შეხებით მშრალი **20 °C-ზე** | 4 საათი |
| **VOC** | 550 |
| **სრული შრობა 24 საათი** | 24 სთ |

## 3. ზედაპირის მომზადება

- ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მშრალი, ცხიმის, ჟანგის, მტვრისა და ძველი ცუდად მიბმული საფარისგან თავისუფალი.
- ლითონი: მოაცილეთ ჟანგი და ნადები მექანიკურად, გაათავისუფლეთ ცხიმისგან; წასასმელია
- ხე: გაასუფთავეთ, გაასრესეთ და მტვერი მოაცილეთ; წასასმელია

## 4. წასმა

| | |
|---|---|
| **მომზადება** | გულდასმით აურიეთ გამოყენებამდე, სანამ ფსკერზე დალექილი პიგმენტი და მასა არ გახდება ერთგვაროვანი. |

| | |
|---|---|
| **წასმის მეთოდი** | ფუნჯი, ვალიკი, შესხურება (ჰაერიანი ან უჰაერო) |
| **გამხსნელი** | ნავთი ან ვაიტ-სპირიტი საჭიროების შემთხვევაში |
| **ფენების რაოდენობა** | 2 ფენა |
| **სამუშაო პირობები** | ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა [+5-დან +30 °C-მდე], ფარდობითი ტენიანობა [≤ 80%]. ზედაპირის ტემპერატურა უნდა აღემატებოდეს ნამის წერტილს მინიმუმ 3 °C-ით. |

## 5. გაშრობა და ხარჯვა

| | |
|---|---|
| **ჩაკეტვამდე გაშრობა (20 °C)** | [4სთ] |
| **შეხებით გაშრობა (20 °C)** | [24სთ] |
| **გადაფარვის ინტერვალი** | მინიმუმ 1სთ მაქსიმუმ 4სთ |
| **სრული გამყარება** | 24 სთ] |
| **თეორიული ხარჯვა** | 170მლ/მ²/ |

გაშრობის დრო იზრდება დაბალი ტემპერატურისა და მაღალი ტენიანობისას.

## 6. ინსტრუმენტების გაწმენდა

გამოყენების შემდეგ ინსტრუმენტები გაწმინდეთ ნავთით ან ვაიტ-სპირიტით. ალქიდით დასვეელებული ჩვრები შეინახეთ წყალში ან დახურულ ლითონის ჭურჭელში (თვითაალების საფრთხე).

## 7. შეფუთვა და შენახვა

| | |
|---|---|
| **შეფუთვა** | 0.9 ლტ/2,5 ლტ/5ლტ/20ლტ |
| **შენახვა** | დახურულ ორიგინალ ჭურჭელში, გრილ და ვენტილირებად ადგილას, ანთების წყაროებისა და პირდაპირი მზისგან მოშორებით. |
| **შენახვის ვადა** | 12 თვე ნგაუხსნელ ორიგინალ შეფუთვაში |

## 8. უსაფრთხოება

პროდუქტი აალებადია. სამუშაო ადგილზე ანთების წყაროები და მოწევა აკრძალულია; იმუშავეთ ვენტილირებად ადგილას და გამოიყენეთ დამცავი საშუალებები. სრული ინფორმაცია იხ. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში (SDS).

## 9. კომპანიის მონაცემები

| | |
|---|---|
| **მწარმოებელი** | შპს დასი პლისი |
| **კონტაქტი** | Info@ecopaint.ge |

ამ ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა ჩვენს ლაბორატორიულ მონაცემებსა და გამოცდილებას.